Shadow a student challenge *(მოსწავლის მიყოლა-დაკვირვების გამოწვევა)*

Shadow a student challenge *(მოსწავლის მიყოლა-დაკვირვების გამოწვევა)* ასე ჰქვია ამერიკის შეერთებულ შტატებში 2016 წლიდან სასკოლო სისტემაში გავრცელებულ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ აქტივობას, რომელიც სტენფორდის უნივერსიტეტიდან იღებს სათავეს. იგი ცდილობს სკოლის ლიდერებს სასწავლო პროცესი და ზოგადად სკოლა მოსწავლის თვალით დაანახოს და დაეხმაროს მათ გახდნენ მეტად ემპათიურები მოსწავლეთა საჭიროებების მიმართ. უფრო კონკრეტულად ეს მიდგომა დირექტორებს ეხმარება აღმოაჩინონ სკოლაში არსებული პრობლემები, შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმონ სკოლის განვითარებისთვის აუცილებელი ჩარევები. 2017 წლის მონაცემებით გამოწვევაში ჩაერთო 61 ქვეყნისა და 50-ვე შტატის სკოლის დირექტორი. ჯამში დარეგისტრირდა 1800-ზე მეტი ადამიანი. პროგრამის დაფარვის მასშტაბი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის პოპულარობასა და ეფექტურობას.

რეალურად რას წარმოადგენს პროგრამა? - იგი დირექტორებისათვის (და არა მხოლოდ) ერთგვარი საგზაო რუკაა, რომელიც საშუალებას იძლევა მოსწავლის პერსპექტივიდან შევხედოთ სკოლის რეალობას და აღმოვაჩინოთ პრობლემები და შესაძლებლობები. შედეგად, სკოლის დირექტორები და ზოგადად ადმინისტრაციული პერსონალი უკეთ ახერხებს პრობლემების არსში გარკვევას და შესაბამისად, სთავაზობს გარკვეულ ინსტრუმენტებსაც მათი შემდგომი დიაგნოსტირებისა და და მოგვარებისთვის.

და მაინც, რა მნიშვნელობის მატარებელია shadow student challenge და რატომ უნდა მიიღონ სკოლის დირექტორებმა თუ ადმინისტრაციამ მონაწილეობა? ბუნებრივია სკოლის დირექტორები სხვადასხვა მეთოდით აკვირდებიან სასწავლო პროცესებს, დიდ დროს ატარებენ საკლასო ოთახებში, ქართულ რეალობაში კი ხშირად თავადაც არიან მასწავლებლები. თუმცა, მსგავსი მიდგომები რეალური პრობლემების დასანახად საკმარისი არაა. რატომ? - მეტწილად ასეთი მიდგომისას რთულია სასწავლო პროცესი მოსწავლის პერსპექტივიდან დაინახო თუ შეაფასო. ამავე დროს, მსგავს მიდგომებს ყურადღების მიღმა რჩება სასკოლო გარემოს გავლენა მოსწავლის

სასკოლო ცხოვრებასა და მთლიან დღეზე. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა სწორედ ამ დანაკლისის შევსებას ემსახურება.

პრობლემები სრული სისავსით მხოლოდ ადმინისტრაციის კაბინეტიდან თუ სამასწავლებლოდან არ ჩანს. შეიძლება გადაწყვეტილების მიმღებ პირს გამორჩეს და ვერ შეამჩნიოს ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლებიც მოსწავლეების ყოველდღიურობაზე უდიდეს გავლენას ახდენენ და რაც მოსწავლისათვის რეალურად ქმნის პრობლემას. საბოლოოდ ამ გამოწვევის მიზანი ამ პრაქტიკის გაძლიერებაა, რათა შეიქმნას სკოლის ლიდერთა საზოგადოება, რომლებიც არა მხოლოდ კაბინეტიდან, არამედ უშუალოდ მოსწავლეთა თანამონაწილეობით მოახდენენ პრობლემის იდენტიფიკაციას.

პროგრამის დანერგვა საკმაოდ მარტივ პროტოკოლს გულისხმობს. იგი რამდენიმე ნაბიჯს აერთიანებს. პირველი, ეს არის მოსამზადებელი ეტაპი. ეს ეტაპი გვეხმარება წინასწარ შევემზადოთ მოსწავლის მიყოლა/დაკვირვებისთვის. როგორ ვემზადებით? - შევიმუშავებთ სამოქმედო გეგმას, მიზნებსა და ვირჩევთ მოსწავლეს, რომლის მიყოლა/დაკვირვებაც გვსურს. მეორე ეტაპი უშუალოდ მოსწავლის მიყოლა/დაკვირვებაა. ამ დღის განმავლობაში ჩვენ არ ვაფასებთ კლასებს, მასწავლებელს ან მოსწავლეებს, არამედ, მისი მიზანია ვიცხოვროთ ისე, როგორც სტუდენტმა და გავიგოთ მათი რეალური საჭიროებები. სწორედ ამიტომ, სასურველია სასწავლო დღის დასაწყისში დაიწყოს მოსწავლის მიყოლა/დაკვირვება. ამ დღის შედეგები დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე თუ რომელ სტუდენტს ავარჩევთ. სწორედ ამიტომ, მოსწავლის არჩევამდე მნიშვნელოვანია იმაზე დაფიქრება თუ რატომ სწორედ ეს მოსწავლე. მესამე ეტაპი უშუალოდ ჩრდილის დღეს მიღებული მონაცემების მნიშვნელობის ძიებაა. იგი გვეხმარება გამოვყოთ ძირითადი მიგნებები და ვიმოქმედოთ შესაბამისად. სწორედ მოქმედებას ეხება მეოთხე ეტაპი. როგორც არაერთხელ უკვე ვთქვით, პროგრამის მიზანი პრობლემებზე რეაგირება და მათი მოგვარებაა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია დაკვირვების შედეგად ძალიან ბევრი პრობლემა აღმოჩნდეს, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა მათგანის მოგვარება ერთდროულად ვერ მოხდება. ამ საფეხურზე შესაძლებელია მცირე ცვლილებების, იგივე მცირე ექსპერიმენტების, ე.წ. “ჰაკების“ განხორციელებაა.

პროგრამა რეალურად გვაძლევს საშუალებას დავინახოთ თუ როგორია ჩვენი მოსწავლის ცხოვრება სკოლაში, რა ახდენს მასზე დადებით თუ უარყოფით გავლენას, რა უწყობს ხელს მის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, როგორია მოსწავლეებს შორის ურთიერთობები, რა განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ მათ კომუნიკაციისა თუ სხვა მიმართულებით. ეს ყველაფერი, საბოლოოდ მათ სასკოლო გამოცდილებაზე აისახება.

როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, პროგრამა კარგად მუშაობს ისეთი ფრაგმენტების აღმოჩენის მიმართულებით, რომლებიც გარე დამკვირვებლისთვის არ ჩანს. მაგალითად, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს ძლიერი კავშირები აქვთ თანატოლებთან, რომლებსაც სკოლის ლიდერები სასწავლო პროცესში არასაკმარისად იყენებენ. ამავე დროს, რაც დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე გამოჩნდა და საქართველოში კიდევ უფრო მკაფიო პრობლემა შეიძლება იყოს, ისაა, რომ მოსწავლეებს გაკვეთილებს შორის არ აქვთ საკმარისი დრო და თავისუფლება. მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ მოსწავლეები ვერ ხედავენ საგნებსა და მათ რეალურ სამყაროს შორის კავშირს. ვფიქრობ, არც ეს აღმოჩენა არ იქნება საქართველოსთვის უცხო. გამოცდილება აჩვენებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მეთოდის გამოყენებისას საკმაოდ ბევრი საერთო ფაქტორი აღმოჩნდა. მაგალითად, მთელი დღის მანძილზე ჯდომა და მეტწილად მსმენელის როლში ყოფნა მოსწავლეებისთვის დამღლელია. პრობლემების გამოვლენის შემდეგ მოსწავლეები დირექტორებს თავად სთავაზობენ გამოსავლებს. მაგალითად, მოსწავლეები ხშირად აჟღერებენ სურვილს მასწავლბლებისთვის ტაიმერის შემოღების შესახებ, რომ პედაგოგს არ გაეპაროს დრო და მოსწავლის როლი მხოლოდ პასიური მოსმენით არ შემოიფარგლოს.

ალბათ სასკოლო პროცესში პროგრამის განხორციელების მნიშვნელობა უკვე აშკარაა. თუმცა, შესაძლებელია ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყოს ის თუ როგორ შეგვიძლია მოსწავლის მიყოლა/დაკვირვება, რა უნდა გავითვალისწინოთ და გავაკეთოთ ამისთვის. სწორედ ამიტომ, გთავაზობთ მეთოდის გზამკვლევს, რომელიც დაგეხმარებათ პროცესის დაგეგმვაში, განხორციელებასა და შეფასებაში.

გზამკვლევი

ნაბიჯი 1 - მომზადება

დროა იფიქროთ მიზანზე, რატომაც ჩაერთეთ პროგრამაში და რატომაც გინდათ მოსწავლის მიყოლა/დაკვირვება. ასევე იფიქრეთ იმაზე თუ რომელ მოსწავლეს მიჰყვებით/დააკვირდებით და რატომ. ამისათვის დაგეხმარებათ შემდეგი კითხვების დასმა:

- როგორია თქვენი მოლოდინი, რას ისწავლით თქვენი სკოლის შესახებ ახალს?
- რას იმედოვნებთ, რომ გამოწვევის დახმარებით საკუთარ თავზე შეიტყობთ?
- თქვენს სკოლაში რისი აღმოჩენის იმედი გაქვთ?

რჩევები: მიყოლა/დაკვირვებისგან ყველაზე მეტს ისწავლით თუ წინასწარ გექნებათ გააზრებული რას ელით თქვენი სკოლისგან. არ გამოიყენოთ ეს შესაძლებლობა იმ პრობლემებზე პასუხების საძიებლად, რომლებიც თქვენი აზრით არსებობს. მიეცით საშუალება პროგრამის დიზაინს, რომ დაგეხმაროთ სწორედ მოსწავლეების თვალით დაინახოთ და აღიქვათ სკოლა და მისი პრობლემები.

რას იმედოვნებ რომ ისწავლი? - მიზნის ჩამოყალიბება დაგეხმარებათ ფოკუსირდეთ თქვენი მიყოლა/დაკვირვების დღის დაგეგმვაზე. მაგალითად - მინდა დავაკვირდე ჩუმი მოსწავლის ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და ურთიერთობებში.

ვის უნდა დააკვირდე? - აარჩიე სწორი სტუდენტი, რადგან მასზეა დამოკიდებული ის თუ რა შედეგებს მიიღებ. სტუდენტი უნდა აარჩიო მიზნიდან გამომდინარე. შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს კლასი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, აკადემიური მოსწრება და ის სხვა ინდიკატორები, რომლებიც ჩვენს მიზანს მიესადაგება.

ნაბიჯი 2 - მიყოლა-დაკვირვება

გაითვალისწინეთ რომ თქვენი მიზანი გაკვეთილის დაკვირვება არაა, არამედ პროცესებისათვის სტუდენტის თვალით შეხედვა. დაგეგმეთ სასკოლო დღე მთლიანად თქვენი მოსწავლის დღის შესაბამისად. ამისათვის დაგეხმარებათ შემდეგი კითხვების დასმა:

- როგორ შემიძლია ჩემსა და ჩემს მოსწავლეებს შორის ყინულის გალღვობა მიყოლა/დაკვირვების დაწყებამდე?
- როგორ შემიძლია ავტომატურად ჩემი მოსწავლის თვალით შევხედო პროცესებს?
- რა უნდა ჩავიცვა ან ვიქონიო თან მიყოლა/დაკვირვების დღეს?

რჩევები: შეეცადეთ განსჯის გარეშე გააკეთოთ ყველაფერი ის, რასაც თქვენი მოსწავლე აკეთებს. თუ მოსწავლეს აქვს ტესტი, თქვენც უნდა დაწეროთ იგი. იყავით ცნობისმოყვარე და დაუსვით მოსწავლეებს ღია კითხვები.

შეხვდით თქვენს მოსწავლეს - შესაძლებელია კითხვის ნიშნები გქონდეთ იმასთან დაკავშირებით თუ რა ჩაიცვათ, სად დაჯდეთ ლანჩისას ან შესვენებაზე, ვის ესაუბროთ და ასე შემდეგ. გახსოვდეთ, რომ შესაძლებელია თქვენი მოსწავლეც ზუსტად იმავეს განიცდის ყოველდღიურად. საკუთარ თავზე იფიქრეთ, როგორც ანტროპოლოგზე, რომელიც დაკვირვებით ცდილობს ინფორმაციის შეგროვებას.

გთავაზობთ რამდენიმე კითხვას, რომელიც დაკვირვების პროცესს გაგიმარტივებთ:

- რას აკეთებენ მოსწავლეები კლასში ან დერეფანში? რას აკეთებენ ისინი მთელი დღის განმავლობაში?
- რას ამჩნევთ მოსწავლეთა კარადებში, დერეფნებში თუ მოსწავლეთათვის განკუთვნილ სხვა სივრცეებში? როგორ ურთიერთქმედებენ მოსწავლეები ერთმანეთთან? რუტინულია ეს ურთიერთობები თუ უნიკალური?
- რა საგნები და მოწყობილობები აქვთ მოსწავლეებს და როგორ უკავშირდება ის მათ სასწავლო პროცესს?
- როგორია სკოლის მასწავლებელთა თუ პერსონალთა ურთიერთობა მოსწავლეებისადმი და პირიქით?

ნაბიჯი 3 - რეფლექსია

როდესაც მიყოლაა/დაკვირვებისას თქვენ აღმოაჩინეთ სიახლეები, დროა მათგან გარკვეული დასკვნები გამოიტანოთ თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ყველაფერი. ამისათვის დაგეხმარებათ შემდეგი კითხვების დასმა:

- რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი გამოცდილება? რატომ?
- რამ გამაკვირვა? რამ გამახარა?
- როგორ განსხვავდება ჩემი გამოცდილება მოლოდინისაგან, რომელიც მქონდა?
- რა აღმოვაჩინე ისეთი, რაც უკავშირდება ჩემს მიზანს?

რჩევები: შესაძლებელია მოსწავლის მიყოლა/დაკვირვებისას ბევრი საინტერესო რამ აღმოაჩინეთ. სასარგებლო იქნება ამ ინფორმაციის კოლეგებისათვის გაზიარება.

გარდაქმენით დაკვირვება შესაძლებლობად - დაკვირვებისას გამოკვეთილი მიგნებები მნიშვნელოვანი ფაქტორები იქნება მოსწავლის გამოცდილების გასაუმჯობესებლად. გამოცდილების ინტერპრეტაცია დაგეხმარებათ პოზიტიური ცვლილებების განხორციელებაში. გთავაზობთ ცხრილს, რომელიც დაგეხმარებათ დაკვირვების შესაძლებლობად გარდაქმნაში.

დაკვირვება (ჩანიშვნები, შეგრძნებები, ა.შ)	ინტერპრეტაცია (რატომ ხდება?)	შესაძლებლობა (რა შეუძლია მოგვცეს?)
✓ *დღის უმეტესი ნაწილი უმოქმედო ვიყავი - ერთადერთი დრო, როდესაც ვმოძრაობდი, შესვენება იყო.*	✓ *საკლასო დრო არ მოიცავდა სტუდენტთა ინტეგრაციასა და მობილურობას*	✓ რისი დამატება შეგვიძლია საკლასო პროცესში (ფიზიკური მოძრაობა, აქტივობები)?

ნაბიჯი 4 - ქმედება

თქვენ მიერ ნაპოვნი შესაძლებლობის გამოყენებით, შემდეგი ნაბიჯი არის თქვენს სკოლაში ცვლილებების განხორციელების გზების შემუშავება. ამისათვის დაგეხმარებათ შემდეგი კითხვების დასმა:

- რომელია მოსწავლისათვის ყველაზე აქტუალური საჭიროება, რომელიც უნდა მოგვარდეს?
- რა შემიძლია ვცადო მომავალი კვირისთვის, რომელიც შედეგის მიღწევაში დამეხმარება?
- რა უპირატესობები და რისკები აქვს ჩემს მიერ შემუშავებულ ცვლილებას?

რჩევები: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ შეიძლება გქონდეთ დიდი ცვლილებების დაუყოვნებლივი განხორციელების სურვილი, თუმცა უფრო ადვილია - და უფრო სწრაფადაც დაიწყებთ პრობლემების მოგვარებას თუ გამოიყენებთ ე.წ. "სწრაფ გამარჯვებს". სრულფასოვანი გადაწყვეტის ნაცვლად, სცადეთ „ჰაკები“ ან ექსპერიმენტი, რათა სწრაფად შეამოწმოთ მისი შედეგები.

რა არის „ჰაკი“? – ეს არის დიდი მიზნის პატარა ნაბიჯებით მიღწევის შესაძლებლობა. მაგალითად: ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა აღმოაჩნია, რომ ბავშვები ძალიან ბევრს აკეთებენ სწავლის პროცესში და ჩვენ ამას ვერ ვხედავთ. მას სურდა საზოგადოებისთვის დაენახებინა მთლიანად პროცესი და არა მხოლოდ შედეგი. შესაბამისად, აირჩია „ჰაკი“. 1- დაასახელა კლასი, რომელსაც ჰქონდა რაღაც განსაკუთრებული გასაზიარებელი (კარგად შემუშავებული საკლასო პროექტი). 2-

ესაუბრა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს თუ რისი გაზიარება ენდომებოდათ სხვებისთვის. 3 - დაგეგმა "pop up": აარჩია დრო, როდესაც ბევრი ადამიანი იმოძრავებდა დერეფნებში, რათა მეტს შეძლებოდა ხილვა და კედელზე გამოაკრა შესაბამისი პროექტი. 4- კლასს მისცა შესაძლებლობა სანამ თავად ლოჯისტიკურ საკითხებზე ზრუნავდა, ისინი შინაარსში ჩასულიყვნენ. 5- და ბოლოს, გაავრცელა (სოციალური ქსელის და სხვა პლატფორმების გამოყენებით).

როგორ შეგიძლიათ საკუთარი „ჰაკების" დაგეგმვა?

ამისათვის გთავაზობთ ცხრილს, რომელიც დაგეხმარებათ დაგეგმოთ და შემდგომ განახორციელოთ თქვენი „ჰაკები".

თქვენი ჰაკის მოკლე აღწერა:	
როგორ შემიძლია ჰაკი განვახორციელო	*დახატეთ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ჰაკი*
რა უნდა გავაკეთო?	
როგორ? **1-** **2-** **3-**	

„ჰაკების" რეფლექსია

რა ხდება კარგად თქვენს სკოლაში, რა შეიძლება იყოს უკეთესი და რა კითხვებს ან იდეებს იწვევს ეს?

მოწონებები *რას ხედავ, რა გაგრძნობინებს კარგად?*	**სურვილები** *რა გსურს შეიცვალოს?*

კითხვები *რა კითხვები შეიძლება წამოვიდეს?*	**იდეები** *რა ახალი იდეები გამოიწვია ამ გამოცდილებამ?*

გზამკვლევის ორიგინალი ვერსია (ინგლისურად) შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://cahnfellowsprograms.org/wp-content/uploads/2022/06/Shadow-a-Student-Challenge-Workbook.pdf